ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება (2015-2016)

შემაჯამებელი ანგარიში

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო**

პროექტის პარტნიორია **ბრემენის უნივერსიტეტი**

Universität Bremen

Federal Foreign Office

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **ბრემენის უნივერსიტეტის** ან **გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.*

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ა. გრიბოედოვის ქ. № 3

საქართველო, თბილისი, 0108

ტელ: + 995 32 2 92 15 14

ელ-ფოსტა: info@idfi.ge

ვებ-მისამართი: www.idfi .ge

სარჩევი

შესავალი 2

დისკუსიების სერია 3

ეროვნული ვალუტის გაუფასურების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 3

საქართველოს ინტერნეტიზაცია და ფართოზოლოვანი განვითარება 4

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საჯარო განხილვა 8

საჯარო სამსახურის რეფორმა - ცვლილებები და პერსპექტივები 9

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა – 2015 წლის შეჯამება 12

ლექციები 13

სალექციო ბლოკ-კურსები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 14

სალექციო ბლოკ-კურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 15

სალექციო ბლოკ-კურსი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლაში (GIPA) 15

სალექციო კურსი საქართველოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 16

ანალიტიკოსების კონკურსი 17

გასვლითი სამუშაო შეხვედრა 20

საერთაშორისო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები 22

შესავალი

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) ბრემენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, 2015 წლის 10 ივლისიდან 2016 წლის 10 თებერვლის ჩათვლით განახორციელა პროექტი „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“. პროექტი მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მაქსიმალურად ფართო სპექტრის დაინტერესების გამოწვევასა და მათი ცოდნის გაღრმავებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020"-თან დაკავშირებით. საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების გარდა, პროექტის ფარგლებში შეფასდა სტრატეგიის არსებული გამოწვევები და განხორციელების პროცესი.

„სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“ 2014-2015 წლებში წარმატებით განახორციელებული პროექტის გაგრძელებაა. წინა პროექტის მსგავსად, აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში ჩართულნი იყვნენ ანალიტიკოსები, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, ქართველი მეცნიერები და სტუდენტები, ასევე სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ქმედებებით დაინტერესებული სხვადასხვა ჯგუფები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მრავალი ღონისძიება და აქტივობა, რომელიც მოიცავდა ანალიტიკოსების მხარდასაჭერ საქმიანობას, ლექტორების მიერ ჩატარებულ ბლოკ-კურსებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტთან "საქართველო 2020"-თან დაკავშირებით გამართულ დისკუსიების სერიას და პროექტის დასკვნით ღონისძიებას - საერთაშორისო ფორუმს „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“. პროექტისთვის სპეციალურად შეიქმნა ბლოგი „საქართველო 2020“, რომელიც სისტემატურად ახლდებოდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბლოგზე განთავსდა ანალიტიკოსების კონკურსში მონაწილეების ნაშრომები, პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ანგარიშები, პროქტის ფოტო და ვიდეო მასალა და მისი მედია გაშუქება.

დისკუსიების სერია

დისკუსიების სერია ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სერია მოიცავდა ხუთ დისკუსიას სხვადასხვა აქტუალურ თემებზე და მისი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების, საჯარო მოხელეების, პოლიტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული პირების საჯარო დებატებში ჩართვა იყო. პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა დისკუსიების სერიამ შექმნა პლატფორმა, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლეოდათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა „საქართველო 2020“-ში განხილულ თემებზე ღიად ემსჯელათ და შეეფასებინათ მთავრობის პოლიტიკა, მიმდინარე რეფორმები და შეეთავაზებინათ რეკომენდაციები სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების მისაღწევად.

დისკუსიების სერიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები აქტიურად შუქდებოდა მედიაში და დიდი გამოხმაურება ჰქონდა პოლიტიკოსების, აკადემიური წრის, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგან. თითოეული დისკუსიაზე მიმდინარეობდა ვიდეო გადაღება, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის IDFI-ს ვებ გვერდისა და YouTube არხის საშუალებით.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

დისკუსიების სერია გაიხსნა დისკუსიით „ეროვნული ვალუტის გაუფასურების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“. დისკუსია გაიმართა 2015 წლის 17 სექტემბერს სასტუმრო თბილისი მარიოტში. სადისკუსიო პანელში მომხსენებლებად წარდგნენ: საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი - გიორგი ბარბაქაძე; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის უფროსი - ნიკოლოზ გაგუა; დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტები - ბესო ნამჩავაძე და ირაკლი დოღონაძე. დისკუსიას მოდერატორობას უწევდა IDFI-ს წარმომადგენელი - გიორგი ხიშტოვანი.

მომხსენებლებმა ისაუბრეს ლარის გაუფასურების გამომწვევ მიზეზებზე და იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. პანელის მონაწილეების მხრიდან ყურადღება იქნა გამახვილებული ეროვნული ვალუტის გაუფასურების საგარეო ფაქტორებზე. ძირითადად აქცენტი გაკეთდა გარე შოკებზე, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს მსოფლიოში ნავთობზე ფასის ვარდნა, უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე კონფლიქტი და უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შემცირება.

ეროვნული ბანკის წარმომადგენლების განცხადებით, არსებული გარე შოკების ნეგატიური გავლენა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე უკვე მთლიანად არის ასახული არსებულ კურსში და ამ მხრივ, არ არის მოსალოდნელი ეროვნული ვალუტის კიდევ უფრო მეტად გაუფასურება. აგრეთვე, ეროვნული ბანკის წარმომადგენლები შეეხნენ საქართველოში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებს. დისკუსიის ფარგლებში ითქვა, რომ მოსალოდნელია წლის ბოლომდე წლიური ინფლაციის მაჩვენებლის 7%-მდე ზრდა, ხოლო 2016 წლის დასაწყისიდან ამ მაჩვენებლის ეტაპობრივი კლება.

დისკუსიის ფარგლებში ასევე გამოითქვა დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან შენიშვნები მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ბესო ნამჩავაძის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და ევროსთან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიუხედავად, ვერ მოხერხდა საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდა, რაც დასტურდება ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მოცულობის კლებაში 2015 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემების წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარების საფუძველზე.

დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმაც, კითხვების და კომენტარების სახით.

საქართველოს ინტერნეტიზაცია და ფართოზოლოვანი განვითარება

რიგით [მეორე დისკუსია](#) დაეთმო საქართველოს ინტერნეტიზაციის და ფართოზოლოვანი განვითარების საკითხებს. სადისკუსიო პანელი 2015 წლის 9 ოქტომბერს სასტუმრო თბილისი მარიოტში გაიმართა.

დისკუსიის პირველ პანელში მომხსენებლებმა ისაუბრეს საქართველოს ინტერნეტიზაციასა და ფართოზოლოვან განვითარებაზე, განიხილეს არსებული მდგომარეობა და შეაფასეს ამ კუთხით არსებული პრობლემები და სამომავლო გეგმები. საპანელო განხილვაზე მომხსენებლებად წარდგნენ: საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) თავმჯდომარე - ირაკლი ქაშიბაძე; OpenNet-ის გენერალური დირექტორი - ანა ნაკაშიძე; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი - მარიკა სულაბერიძე; IDFI-ს მედიისა და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელი - უჩა სეთური, Alter Net-ის დირექტორი - მიხეილ გოთოშია. პანელს მოდერატორობას უწევდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი.

ირაკლი ქაშიბაძემ საზოგადოებას გააცნო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მისია, მისი სტრატეგია და ისაუბრა სააგენტოს როლზე ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროცესში. ქაშიბაძის განცხადებით, GITA-ს პრიორიტეტებში შედის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველყოფა მთელი ქვეყნის მასშტაბით და საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის გასაუმჯობესებლად არამარტო ტექნოპარკების და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების, არამედ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა და დახვეწა, ფინანსებთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანობის განვითარება და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. GITA-ს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ინოვაციური ეკოსისტემის ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე და განიხილა სტრატეგია „ინოვაციური საქართველო 2020“. პრეზენტაციის დროს ქაშიბაძე შეეხო სტრატეგიის საინფორმაციო საზოგადოების კომპონენტებს და ყურადღება გაამახვილა საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

OpenNet-ის გენერალურმა დირექტორმა ანა ნაკაშიძემ საზოგადოებას გააცნო ახლადშექმნილი ორგანიზაცია და ისაუბრა ორგანიზაციის ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების სტრატეგიაზე და სამომავლო გეგმებზე. ნაკაშიძემ განიხილა OpenNet-ის პრინციპები და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში დაიცავს ღია დაშვების პრინციპს და ტექნოლოგიურ ნეიტრალიტეტს, რომელიც ერთის მხრივ ხელმისაწვდომს გახდის ინფრასტრუქტურას ყველა მომსახურების მიმწოდებლისთვის და მეორეს მხრივ, ქსელის ყველა პოტენციურ მომხმარებელს რესურსების შეუზღუდავად გამოყენების საშუალება მისცემს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა - მარიკა სულაბერიძემ ისაუბრა ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი ღონისძიებების შესახებ. ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების გავრცელების ხელშემწყობ მიმართულებად დასახელდა უსადენო ფართოზოლოვანი მიწისზედა მომსახურეობის და ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. სულაბერიძის განცხადებით, ამ მიმართულებით ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი ევროკომისიის დირექტივაა. ინფრასტრუქტურის სფეროს გამოწვევების განხილვისას, აღინიშნა განმარტებების და რეგულირების, ნებართვის, და რეგისტრაციისა და დაცვის სირთულეები. სულაბერიძის განცხადებით, არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, განმარტებებისა და რეგულირების კუთხით, გამოიყენება ევროკომისიის შესაბამისი დირექტივა და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის რეგულირების ევროპული მოდელი.

IDFI-ს მედია და კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა სეთურმა ისაუბრა ინტერნეტიზაციის და ფართოზოლოვანი განვითარების პროცესზე და ამ მხრივ საქართველოში არსებულ პრობლემებზე. განვითარებულ ქვეყნებში პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელ ნაბიჯებად დასახელდა არსებული პრობლემების გააზრება, კერძო და საჯარო სექტორის გრძელვადიანი და საშუალო ვადიანი საჭიროებების და ბოლო მომხმარებლის და მომსახურების მიწოდების მხარეს არსებული მდგომარეობის და პოტენციალის განსაზღვრა. სეთურმა საზოგადოებას ასევე გააცნო IDFI-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

Alter Net-ის დირექტორმა მიხეილ გოთოშიამ ყურადღება გაამახვილა სტრატეგიის არარსებობაზე OpenNet-ის მიერ დაგეგმილ ფართოზოლოვანი მომსახურეობის განვითარების პროცესში. პრობლემად ასევე დასახელდა ტარიფების საკითხი, გადამხდელუნარიანი მოსახლეობის ნაკლებობა რეგიონებში და განსხვავებული დაშვების ფასი სხვადასხვა ოპერატორებს შორის.

დისკუსიის მეორე პანელი დაეთმო სახელმწიფო ელექტრონული სერვისების განვითარებას და ამ კუთხით არსებული მდგომარეობის განხილვას. პანელს მოდერატორობას უწევდა IDFI-ს გამგეობის თავმჯდომარე - ლევან ავალიშვილი. საპანელო განხილვაში მომხსენებლებად წარდგნენ ააიპ „ინტერნეტის განვითარების ინიციატივა“-ს დამფუძნებელი - ვლადიმერ

სვანაძე; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი - მიხეილ ჯანიაშვილი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ელექტრონული მმართველობის დეპარტამენტის უფროსი - გიგა პაიჭაძე.

“ინტერნეტის განვითარების ინიციატივა”-ს დამფუძნებელმა - ვლადიმერ სვანაძემ ისაუბრა კიბერუსაფრთხოების ახალ გამოწვევებზე საქართველოში. ამ მიმართულებით, ყველაზე დაუცველ სექტორებად დასახელდა საბანკო და სხვა საფინანსო ინსტიტუტები, საფონდო ბირჟები, ბირთვული ელექტროსადგურები, წყლის მომარაგებისა და გამწმენდი სისტემები და პერსონალური მონაცემების და ელექტრონული მმართველობის ბაზები.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა - მიხეილ ჯანიაშვილმა ისაუბრა სამინისტროში დანერგილ ინფორმაციულ სისტემებზე და სამინისტროს ელექტრონული სერვისების სამომავლო გეგმებზე.

მთავრობის ადმინისტრაციის ელექტრონული მმართველობის დეპარტამენტის უფროსმა - გიგა პაიჭაძემ განიხილა დეპარტამენტის ფუნქცია და სამომავლო გეგმები. პაიჭაძის განცხადებით, ელექტრონული მმართველობის დეპარტამენტს სტრატეგიულ დონეზე ევალება ელექტრონული მმართველობის სფეროში სხვადასხვა სამინისტროში მიმდინარე ამოცანების კოორდინირება, სამომავლო სტრატეგიებზე მუშაობა და გეგმების გაწერა. პაიჭაძემ აღნიშნა, რომ დეპარტამენტის სამომავლო სტრატეგია შემდგარი იქნება სხვადასხვა უწყებების სტრატეგიების ნაწილებისგან, კერძოდ კი საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიის და “ინოვაციური საქართველო 2020”-ის ზოგადი პრინციპებისაგან. ელექტრონული მმართველობის დეპარტამენტის უფროსმა საზოგადოებას ასევე გააცნო ახლადშექმნილი საკონსულტაციო საბჭო, რომელიც 35 სხვადასხვა სამინისტროსა და სსიპის IT სპეციალისტებისაგან შედგება.

მოხსენებების შემდეგ დისკუსია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საჯარო განხილვა

დისკუსიების სერიის მესამე ღონისძიების განხილვის თემა იყო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი. დისკუსია 2015 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა სასტუმრო თბილისი მარიოტში, სადაც მომხსენებლებად წარსდგნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი - ეკატერინე გუნცაძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ბიუჯეტის ანალიზის განყოფილების უფროსი - თათია ხეთაგური, პარტია „თავისუფალი დემოკრატები“-ს წარმომადგენელი - დავით ონოფრიშვილი, ეკონომისტი და საქართველოს და კავკასიის უნივერსიტეტების პროფესორი - აკაკი ცომაია და ეკონომისტი - ლაშა არევაძე.

კატერინე გუნცაძემ მიმოიხილა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ისაუბრა ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე. გუნცაძის განცხადებით, 2016 წლის ბიუჯეტი გაწერილია რეალური მშპ-ს ზრდის 3%-იანი და საშუალო წლიური ინფლაციის 4.5%-იანი მაჩვენებელის გათვალისწინებით. ძირითად მხარჯავ უწყებად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დასახელდა, რომელის დაფინანსებაც ბიუჯეტის 34%-ს (3,07 მლრდ ლარი) შეადგენს. მოხსენებაში გუნცაძემ ასევე მიმოიხილა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით სხვა დანარჩენი სამინისტროების ბიუჯეტი და საზოგადოებას აღნიშნული სამინისტროების ბიუჯეტების 2015 წლის მაჩვენებლებთან შედარება წარუდგინა.

თათია ხეთაგურმა მოკლედ მიმოიხილა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მისია და ისაუბრა საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნებულ 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის დასკვნის შესახებ. ფისკალურ რისკებზე საუბრისას, ხეთაგურმა საზოგადოებას გააცნო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის კვლევაში განხილული სცენარების ანალიზი. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საუბრისას ხეთაგურმა აღნიშნა, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევაში მოცემული მაჩვენებელი (7,940 მლნ ლარი) 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით დაგეგმილ მაჩვენებელს 2.1%-ით, ანუ 160 მლნ ლარით აჭარბებს. ხეთაგურის განცხადებით, მსგავსი სხვაობა გამოწვეულია კვლევის მეთოდოლოგიური თავისებურებებით, რაც გამოიხატა მოგების გადასახადისა (16.1%-ით ზრდა) და დამატებითი ღირებულების გადასახადის (2.4%-ით ზრდა) მაჩვენებლის ზრდაში.

პარტია „თავისუფალი დემოკრატები“-ს წარმომადგენელმა - დავით ონოფრიშვილმა გააკრიტიკა მთავრობის მიერ შეთავაზებული 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტი და აღნიშნა, რომ მთავრობამ არ აპირებს განახორციელოს ის რეფორმები, რაც დაპირებული 4-5%-იანი ეკონომიკური ზრდისთვის არის აუცილებელი. ონოფრიშვილმა ასევე შეაფასა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია “საქართველო 2020”-ის განხორციელების პროცესი და აღნიშნა, რომ ლარის გაუფასურების ფონზე, როდესაც ეკონომიკა საშუალოდ მხოლოდ 3%-ით იზრდება, მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის მიზნების მიღწევა ვერ ხერხდება.

აკაკი ცომაიამ განიხილა 2015 წლის და 2016 წლის ბიუჯეტების პარამეტრები და აღნიშნა, რომ წინა წლის მსგავსად, 2016 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი კვლავ განათლებასა და სოციალურ ხარჯებზე არის მიმართული. ცომაიას შეფასებით, 2016 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი არ არის ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული, “რადგან უფასო ჯანდაცვა, განათლება და სოციალური მომსახურეობა შეუთავსებელია ეკონომიკურ ზრდასთან”. ცომაიამ ასევე ისაუბრა ხარჯების ეფექტიანობაზე და განიხილა “განიავებული” საბიუჯეტო ხარჯები. მისი განცხადებით, არსებულ პროგრამულ ბიუჯეტში ძნელია ისეთი სტრატეგიის პოვნა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად ხარჯების დადგენა და მისი სიკეთის მაჩვენებელთან შედარება. განიავებულ ხარჯებში მოხსენიებული იყო გრძელვადიანი კრედიტები (640 მლნ ლარი), საყოველთაო ჯანდაცვა (800 მლნ ლარი), უმაღლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამები (174 მლნ ლარი), შეღავათიანი აგროკრედიტები (50 მლნ ლარი), რთველის ხელშემწყობი ღონისძიებები (25 მლნ ლარი).

მოხსენებების შემდეგ დისკუსია გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რა დროსაც ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრებს რეპლიკებისა და კითხვების სახით, დისკუსიაში ჩართვის და საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცათ.

საჯარო სამსახურის რეფორმა - ცვლილებები და პერსპექტივები

რიგით მეოთხე დისკუსია “საჯარო სამსახურის რეფორმა - ცვლილებები და პერსპექტივები“ გაიმართა 2015 წლის 27 ნოემბერს. დისკუსიის პირველ პანელი დაეთმო საჯარო სამსახურის რეფორმის ზოგად მიმოხილვას და მისი ძირითადი მახასიათებლების

განხილვას. პანელს უძღვებოდა IDFI-ს დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი ხოლო დისკუსიაში მომხსენებლებად წარსდგნენ მაია დვალიშვილი - საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე; ხათუნა გოგორიშვილი - პარლამენტის წევრი, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; ნინო დოლიძე - საჯარო მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA).

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე - მაია დვალიშვილმა ისაუბრა რეფორმის კონცეფციაზე, მისი შექმნის პროცესზე და კანონში შესატან ცვლილებებზე, რომლის ამოქმედებაც 2017 წლის იანვრიდან იგეგმება. დვალიშვილის განცხადებით, კონცეფციის შექმნის პროცესში, რომელშიც ჩართულნი იყვნენ როგორც ქართველი და უცხოელი ექსპერტები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოხდა არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, რამაც განსაზღვრა ახალი კანონის მიღების აუცილებლობა.

ხათუნა გოგორიშვილმა ისაუბრა ახალი კანონების უარყოფითი მხარეებზე და განიხილა კანონში შესატანი აუცილებელი ცვლილებები. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ემყარება პროფესიული საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპებს, ახალი კანონით ხდება შიდა კონკურსის ჩატარება, რითაც საჯარო სამსახური იკეტება გარეშე პროფესიონალებისათვის. მან ასევე ისაუბრა მოხელეებისათვის სტაბილურობის გარანტიის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ ახალი კანონი არ უზრუნველყოფს სტაბილურობის მექანიზმებს. გოგორიშვილის თქმით, ახალი კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურის რეფორმის სტაბილურობისთვის აუცილებელი რეგულაციები გასულია კანონის ფარგლებიდან და ეფუძნება მხოლოდ მთავრობის შესაბამის დადგენილებებს, რაც ზრდის იმის საფრთხეს, რომ სტაბილურობის უზრუნველსაყოფი წესები დამოკიდებულ იქნება მთავრობის წევრების კეთილ ნებაზე.

ნინო დოლიძემ დადებითად შეაფასა ახალი კანონის მიღება. დოლიძის თქმით, კანონის მთავარი პლიუსი პროფესიული საჯარო სამსახურის მოდელის დანერგვაა, რადგან სწორედ ამ გზით შეიძლება კონკურენტულობის პრინციპის დაცვა. დოლიძემ ასევე აღნიშნა, რომ კანონის ყველაზე დიდი ნაკლი საჯარო სამსახურში მიღების წესია, რომელიც ბევრი პროფესიონალისთვის საჯარო სამსახურს არამიმზიდველ სექტორად ხდის. მისი თქმით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობა, მიღების პროცესის

გამჭვირვალობა, ღიაობა და პოლიტიკური ნეიტრალურობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

დისკუსიის მეორე პანელის განხილვის თემა იყო ბიუროკრატიის ზრდის ტენდენციები და მისი ეფექტიანობა. პანელის მოდერატორობას უწევდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე - ლევან ავალიშვილი. დისკუსიაზე მომხსენებლებად წარდგნენ ლევან ალაფიშვილი - თვითმმართველობის მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; ალექსანდრე ელისაშვილი - თბილისის საკრებულოს დეპუტატი და იაგო ხვიჩია - იურისტი, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“-ს დამფუძნებელი.

ლევან ალაფიშვილმა ისაუბრა ბიუჯეტისა და ბიუროკრატიის ეფექტიანობის ურთიერთკავშირზე. მისი თქმით, საქართველოში არ მოქმედებს პროგრამული ბიუჯეტი, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ბიუროკრატიის ზრდასა და მმართველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ალაფიშვილმა ხაზი გაუსვა პროგრამული ბიუჯეტის სტანდარტების არარსებობას და განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი განსაკუთრებით შესამჩნევია თვითმმართველ ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირების შემთხვევაში.

საკრებულოს წევრმა ალეკო ელისაშვილმა ისაუბრა თბილისის საკრებულოსა და მერიაში გაზრდილი საშტატო ერთეულების და არაეფექტიანი ბიუროკრატიის პრობლემაზე. მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოქალაქეების აქტიურობის და პროცესებისადმი ინტერესის ნაკლებობაცაა, რაც საჯარო სამსახურის რეფორმის დანერგვას დროში აჭიანურებს.

იაგო ხვიჩიამ პატარა მთავრობის უპირატესობებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ კანონში შეტანილი პროცედურების გართულება საჯარო სამსახურის რეფორმის ხელის შემშლელი ფაქტორია. მისი თქმით, პრობლემა პოლიტიკური ნების არარსებობაა და შესაბამისად, კანონის აღსრულება არ იქნება საგრძნობი თუ არ შეიცვალა პოლიტიკური მიდგომა.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა – 2015 წლის შეჯამება

დისკუსიების სერიის ბოლო ღონისძიება დაეთმო საქართველოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. დისკუსია 2016 წლის 21 იანვარს გაიმართა სასტუმრო თბილისი მარიოტში, სადაც მომხსენებლებად წარსდგნენ - თენგიზ ვერულავა - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ზურაბ ჭიაბერაშვილი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი. დისკუსიაში მომხსენებლად ასევე მოწვეული იყო მაია მაღლაკელიძე - სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი. თუმცა სამწუხაროდ, დისკუსიაში მონაწილეობაზე თავდაპირველი თანხმობის მიუხედავად, ქალბატონი მაია ღონისძიებაზე არ გამოცხადდა. დისკუსიას უძღვებოდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი - გიორგი ხიშტოვანი.

დისკუსიის მონაწილეებმა განიხილეს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა, ისაუბრეს მის ძირითად მახასიათებლებზე და შეაჯამეს განვლილი 2015 წელი.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა ისაუბრა ისეთი დახურული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე, რომელიც ჯანდაცვის პროგრამის სრულფასოვნი შეფასებისთვის არის საჭირო. მისი თქმით, 2013 წლის შემდეგ არ გამოქვეყნებულა ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში (National Health Account), რომელშიც მითითებულია თუ რამხელაა ჯანდაცვის წილი მთლიან მშპ-სთან მიმართებაში და რამხელაა სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში. ჭიაბერაშვილის განცხადებით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის 2015 წლის შედეგების შეფასებისას აუცილებელია არსებობდეს ინფორმაცია ჯანდაცვის ბიუჯეტის ხარჯვის გეოგრაფიულ არეალზე, მოხმარების მკვეთრი ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებზე, ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯების ბენეფიციარებზე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიღმა და ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში არსებულ სიტუაციაზე. მან ასევე განიხილა პაციენტების ჯიბიდან გადახდილი დანახარჯების სტატისტიკა და აღნიშნა, რომ 2010 წლის მონაცემებთან შედარებით, 2014 წელს ამ კუთხით მდგომარეობა ყველაზე მეტად მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის გაუარესდა. რეკომენდაციების სახით ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ჯანდაცვის ხარჯების ზომიერი და გათვლილი ზრდა, საყოველთაობიდან მიზნობრივ ჯანდაცვაზე დაბრუნება და სადაზღვევო მედიცინაზე დაბრუნება.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის 2015 წლის შეჯამებისას თენგიზ ვერულავამ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის დანახარჯებში სახელმწიფო დაფინანსების წილის გაზრდის მიუხედავად, იგი საქართველოში მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება არამარტო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს, არამედ ბევრი დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მაჩვენებელსაც. ვერულავამ ასევე განიხილა ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე დადებითი ტენდენციები და აღნიშნა, რომ C ჰეპატიტის სამკურნალო სახელმწიფო პროგრამის და რეცეპტების ინსტიტუტის ამოქმედება პოზიტიური ცვლილებები იყო ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების პროცესში. დადებით მოვლენებად დასახელდა სამედიცინო ბაზარზე სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ორგანიზაციების გაჩენა, ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მოსახლეობის მიმართვიანობის მაჩვენებლის გაზრდა, ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების და პირველადი ჯანდაცვის როლის ზრდა. სისტემაში არსებული პრობლემების კუთხით, ვერულავამ გამოყო მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდა, მედიკამენებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემები, პირველადი ჯანდაცვის არასაკმარისი განვითარება, კერძო დაზღვევის კომპანიების ნაკლები ჩართულობა, სერვისების შერჩევაში ხარჯთ-ეფექტიანობის ანალიზის ნაკლები გამოყენება, სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხარჯების შეკავების ნაკლები მექანიზმების არსებობა. რეკომენდაციების განხილვისას ვერულავამ აღნიშნა, რომ აუცილებელია პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით უმწეო და ქრონიკული ავადმყოფებისათვის, პირველადი ჯანდაცვის შემდგომი განვითარება, სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მრავალი ფორმის განვითარების ხელშეწყობა, კერძო დაზღვევის კომპანიების ჩართულობის გაზრდა, ჯანდაცვის დაფინანსებაში პაციენტის თანამონაწილეობის გაზრდა, სერვისების შერჩევაში ხარჯთ-ეფექტიანობის ანალიზის გამოყენება და სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება.

ლექციები

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სალექციო ბლოკ-კურსების ორგანიზება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს მასშტაბით. პროექტის მიმდინარეობისას ჩატარდა 7 სალექციო ბლოკ-კურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლაში (GIPA), საქართველოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU). სალექციო კურსების მიზანი იყო საქართველოს მასშტაბით სტუდენტებში ცნობიერების ამაღლება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ.

სალექციო ბლოკ-კურსები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

9 და 10 ნოემბერს, IDFI-ს ორგანიზებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სალექციო ბლოკ-კურსი "ფინანსური აღრიცხვა და ინვესტიციები".

ბლოკ-კურსს უძღვებოდა ბრემენის უნივერსიტეტის მკვლევარი - სებასტიან ტიდემანი. სალექციო ბლოკ-კურსის მიმდინარეობისას მკვლევარმა განიხილა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები (IFRS) და იმსჯელა IFRS-ის დანერგვის უპირატესობებსა და შეზღუდვებზე, განიხილა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სარგებლის თავისებურებები, ინვესტიციებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთმიმართება, ისევე როგორც ბიზნეს ანალიზისა და ფინანსური ანალიზის თავისებურებები და მნიშვნელობა. გერმანიიდან მოწვეულმა მკვლევარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30-მდე სტუდენტს გაუზიარა საერთაშორისო გამოცდილება ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან დაკავშირებით და გააცნო სტუდენტებს IFRS-ის გლობალური დანერგვის და გავრცელების ტენდენციები. ლექციის მიმდინარეობისას სტუდენტებს ევალებოდათ რამდენიმე დავალების შესრულება, ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ლექციის მიმდინარეობისას გამართულ დისკუსიაში.

ორდღიანი ლექციების სერიის შემდეგ, ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ IDFI-ს, ბრემენის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სერტიფიკატი. ასევე, აქტიურ სტუდენტებს საჩუქრად გადაეცათ სახელმძღვანელოები.

აგრეთვე, 15 დეკემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სალექციო ბლოკ-კურსი „არაფორმალური

ეკონომიკა: დიაგნოზი და გამოსავალი“, რომელსაც გაუძღვა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი ლელა რეხვიაშვილი. სალექციო ბლოკ-კურსის მიმდინარეობისას, ლელა რეხვიაშვილმა ისაუბრა არაფორმალური ეკონომიკის არსზე, არაფორმალური ეკონომიკის პრობლემატიკის ირგვლივ არსებულ თეორიებზე და არაფორმალური ეკონომიკის თავისებურებებზე საქართველოს მაგალითზე.

ოთხდღიანი სალექციო კურსის შემდეგ, ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ IDFI-ს, ბრემენის უნივერსიტეტისა და თსუ-ს ერთობლივი სერტიფიკატი. აგრეთვე, ბლოკ კურსში მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა ქონდათ კურსის თემატიკის გარშემო დაეწერათ ნარკვევი და მოიგოთ Kindle და უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა.

სალექციო ბლოკ-კურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

1 დეკემბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სალექციო ბლოკ-კურსი “საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირება - ტრანსფორმაცია და მდგრადობა”.

ბლოკ-კურსს უძღვებოდა ბრემენის უნივერსიტეტის მკვლევარი - ნიკოლოზ ქოიავა. სალექციო ბლოკ-კურსის მიმდინარეობისას მკვლევარმა ისაუბრა კაპიტალის ბაზრის საჭიროებაზე და მისი რეგულირების აუცილებლობაზე, საბაზრო ეკონომიკური წონასწორობის ნეოკლასიკურ თეორიაზე, ამ მოდელის ტრანსფორმაციაზე და კაპიტალის ბაზრის რეგულირების ერთიან ჩარჩოზე.

ოთხდღიანი სალექციო კურსის შემდგეგ, ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ IDFI-ს, ბრემენის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი სერტიფიკატი. სამი აქტიური სტუდენტი ასევე დასაჩუქრდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით.

სალექციო ბლოკ-კურსი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლაში (GIPA)

5, 18, 22 და 25 დეკემბერს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლაში (GIPA) გაიმართა სალექციო ბლოკ-კურსი „კარგი მმართველობა

საქართველოში“, რომელსაც გაუძღვა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე – ლევან ავალიშვილი.

სალექციო კურსის მიზანი იყო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე კარგი მმართველობის განვითარების უახლესი ტენდენციების, საჯარო მმართველობის სფეროში საქართველოში მიმდინარე რეფორმების, ინიციატივების, მექანიზმებისა და გამოწვევების შესახებ მდგომარეობის მიმოხილვა. სალექციო კურსის მიმდინარეობისას ლევან ავალიშვილმა ისაუბრა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკასა და პრაქტიკაზე საქართველოში, ელექტრონულ მმართველობაზე და ამ მხრივ ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გავლენაზე, ასევე, კარგ მმართველობაზე და მის შემადგენელ კომპონენტებზე.

ოთხდღიანი სალექციო კურსის შემდეგ, ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ IDFI-ს, ბრემენის უნივერსიტეტისა და GIPA-ს ერთობლივი სერტიფიკატი. აგრეთვე, ბლოკ-კურსში მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა ქონდათ კურსის თემატიკის გარშემო დაეწერათ ნარკვევი და მოეგოთ Kindle, ასევე უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. პრიზი გადაეცა საუკეთესო ნარკვევების ავტორებს.

სალექციო კურსი საქართველოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

21 იანვარს, საქართველოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სალექციო კურსი „საქართველო 2020 – კონკურენციის რეგულირება სატელეკომუნიკაციო სფეროში“, რომელსაც გაუძღვნენ IDFI-ის და ტელეკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი – უჩა სეთური და IDFI-ის პროექტის კოორდინატორი – საბა ბუაძე.

სალექციო კურსის მიზანი იყო სტრატეგიული გეგმა „საქართველო 2020“-ს შემუშავების გაანალიზება სტრატეგიულ ჭრილში, ასევე სატელეკომუნიკაციო სექტორში კონკურენციის რეგულირების მხრივ არსებული მდგომარეობის განხილვა.

მსგავსი სალექციო ბლოკ-ჯურსი ასევე ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU) (8 თებერვალს) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (27 იანვარს).

სალექციო კურსების შემდეგ, ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატი.

ანალიტიკოსების კონკურსი

პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი ანალიტიკოსებისთვის, რომლის მიზანი იყო საქართველოში სოციალური და ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებული ანალიტიკოსების წახალისება, ისევე როგორც საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება სტრატეგია „საქართველო 2020“-ის შესახებ.

კონკურსის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეწერათ სტატიები და ანალიტიკური ნაშრომები "საქართველო 2020"-ში განხილული თემებიდან მათთვის საინტერესო საკითხებზე. აღნიშნული ნაშრომები ქვეყნდებოდა IDFI-ს საიტზე, ისევე როგორც ორგანიზაციის Facebook გვერდზე.

კონკურსი ორ ნაწილად იყო დაყოფილი. პირველი ნაწილით გათვალისწინებული იყო სტიპენდიები ანალიტიკოსებისთვის. კონკურსის ამ ნაწილის გამარჯვებული მონაწილეები იღებდნენ ვალდებულებას დაეწერათ 6 ანალიტიკური ნარკვევი 5 თვის განმავლობაში, რომელიც გამოქვეყნდებოდა IDFI-ს საიტზე, ისევე როგორც ორგანიზაციის Facebook გვერდზე.

თავდაპირველად, აღნიშნულ კონკურსში შერჩეულნი იყვნენ 13 მონაწილე, რომელთაგან სტიპენდიანტებად დასახელდნენ კონკურსის შემდეგი მონაწილეები:

- **ლაშა არევაძე**
- **თამარ ჩარკვიანი**
- **თენგიზ ვერულავა**
- **დემნა დევდარიანი**

კონკურსის მეორე ნაწილი გულისხმობდა საუკეთესო ანალიტიკური ნარკვევების ავტორისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემას. კონკურსის აღნიშნულ ნაწილში სტიპენდიანტებთან ერთად მონაწილეობდა თავდაპირველი 13 კონკურსანტიდან ერთ-ერთი - **დავით გოჩავა.**

ლაშა არევაძე

კონკურსის მიმდინარეობისას ლაშა არევაძე წერდა ანალიტიკურ ნაშრომებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე, საქართველოს ფისკალურ პოლიტიკაზე და იმ ეკონომიკურ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას

საქართველო, ისევე როგორც სტრატეგიული დოკუმენტი „საქართველო 2020“. ანალიტიკოსმა კონკურსის განმავლობაში დაწერა შემდეგი სტატიები:

1. „BDD დოკუმენტი, 2016-2019 წლები, მცირე ნამცხვრის გადანაწილება“
2. „რა არის ინკლუზიური ზრდა?“
3. “მცირე მიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა: დიდი ფულის მცირე შედეგები”
4. “საქართველოს ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის ანალიზი”
5. “საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები”
6. “რამდენად ეფექტიანია უფასო ფაკულტეტები”

თამარ ჩარკვიანი

კონკურსის მიმდინარეობისას თამარ ჩარკვიანი წერდა ანალიტიკურ ნაშრომებს საჯარო სამსახურში არსებულ პრობლემებზე და გამოწვევებზე. ანალიტიკოსმა კონკურსის განმავლობაში დაწერა შემდეგი სტატიები:

1. „რა აზრი აქვს პრეტენზიას?!“
2. „სახელმწიფო დასაქმების პორტალი Worknet vs. უმუშევრობის პრობლემა“
3. „საჯარო სამსახური რეკრუტირების პოლიტიკა: www.hr.gov.ge ყველას აძლევს დასაქმების თანაბარ შანსს?“
4. „საჯარო სამსახურში კარიერული განვითარების მექანიზმები: მერიტოკრატია vs. ქრონიზმი“
5. „პრემირების/დანამატების სისტემა და პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახური?!“
6. „საჯარო სამსახურში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ანალიზი (2012 წლის არჩევნებამდე და შემდეგ)“

დემნა დევდარიანი

კონკურსის მიმდინარეობისას დემნა დევდარიანი წერდა ანალიტიკურ ნაშრომებს საქართველოს საპენსიო სისტემისა და საჯარო სამსახურის რეფორმების შესახებ. ანალიტიკოსმა კონკურსის განმავლობაში დაწერა შემდეგი სტატიები:

1. „საპენსიო სისტემათა მსოფლიო მოდელები საქართველოს კონტექსტში“
2. „საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი“
3. „დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ანალიზი“
4. „საჯარო სამსახურის რეფორმის ანალიზი“
5. “საჯარო სამსახურის რეფორმა - რამდენად ამართლებს ახალი კანონი მოლოდინს?”
6. „საჯარო სამსახურის რეფორმა - კონცეფციის ანალიზი“

თენგიზ ვერულავა

კონკურსის მიმდინარეობისას თენგიზ ვერულავა წერდა ანალიტიკურ ნაშრომებს ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და ხარვეზებზე. ანალიტიკოსმა კონკურსის განმავლობაში დაწერა შემდეგი სტატიები:

1. „ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება“
2. „სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმები, მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო“
3. „ჯანდაცვის ხარჯების შეკავების მექანიზმები და საქართველოს ჯანდაცვის სისტემა“
4. „არის თუ არა სამედიცინო ბაზარი ჩვეულებრივი ბაზარი?“
5. „ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების (შინმოვლის) განვითარების პრობლემები საქართველოში“
6. "მართული კონკურენცია ჯანდაცვაში და საქართველოს რეფორმები"

დავით გოჩავა

კონკურსის მიმდინარეობისას დავით გოჩავა წერდა ანალიტიკურ ნაშრომებს საქართველოს რკინიგზაში არსებულ მდგომარეობაზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე. ანალიტიკოსმა კონკურსის განმავლობაში დაწერა შემდეგი სტატიები:

1. „საქართველოს რკინიგზის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რვა ძირითადი დირექტივისა და რეგულაციის დანერგვის წინაპირობები“
2. „ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა და საქართველო“
3. „მარეგულირებელი ორგანოები რკინიგზის სექტორში“

2016 წლის 9 თებერვალს გაიმართა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ განხორციელებული პროექტის „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“-ს დასკვნითი ღონისძიება.

ღონისძიებაზე გამოვლინდა ანალიტიკოსების კონკურსის გამარჯვებული. ანალიტიკოსების კონკურსში გაიმარჯვა მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა - **თენგიზ ვერულავამ**, რომელსაც ჯილდოს სახით 2000 ევრო გადაეცა.

გასვლითი სამუშაო შეხვედრა

25-27 სექტემბერს გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა ლოპოტას სასტუმროში IDFI-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე ანალიტიკოსებისათვის. გასვლით შეხვედრას რამდენიმე მიზანი ჰქონდა:

1. შეხვედრის ორგანიზება დარგის სპეციალისტებთან, რომლებიც მუშაობენ სტრატეგია „საქართველო 2020“-ის პრიორიტეტულ მიმართულებებზე
2. ანალიტიკოსებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათთვის საინტერესო სფეროზე სტრატეგია „საქართველო 2020“-დან

გასვლითი სამუშაო შეხვედრის სადისკუსიო პანელის თემები შერჩეული იყო სტრატეგიაში განხილული სამი ძირითადი პრობლემის გათვალისწინებით:

- კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა
- ადამიანური რესურსების განვითარება
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

სამუშაო შეხვედრის პირველი დღის საპანელო განხილვა დაეთმო საქართველოში ფინანსებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საპენსიო რეფორმის სამსახურის უფროსი – **ოთარ ძიძიკაშვილი** და მისი მოადგილე – **ირაკლი ბურჭულაძე,** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი – **მერაბ ნარმანია** და

საბროკერო კომპანია „კავკასუს კაპიტალის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი – **გიორგი ლოლაძე.**

საპენსიო რეფორმის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საპენსიო რეფორმის აუცილებლობაზე და განიხილეს საქართველოსთვის შესაფერისი კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის მოდელი.

საბროკერო კომპანიის “კავკასუს კაპიტალის” დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა გიორგი ლოლაძემ განიხილა საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების განმაპირობებელი და ხელის შემშლელი ფაქტორები.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის შესახებ ისაუბრა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა მერაბ ნარმანიამ.

მეორე სამუშაო დღის საპანელო განხილვა გაიმართა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობასა და ადამიანური კაპიტალის განვითარების შესახებ. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობაზე სასაუბროდ მოწვეულნი იყვნენ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) წარმომადგენელი – **ანა ბერიშვილი** და **მარიამ ლაშხი**, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი – **თათია ბიძინაშვილი** და კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელი – **ირინე ჩიხლაძე**. ადამიანური კაპიტალის განვითარების შესახებ ისაუბრეს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს წარმომადგენელმა – **ნინო აგაშენაშვილმა** და არასამთავრობო ორგანიზაცია “სასკოლო კვლევების ცენტრი”-ს ხელმძღვანელმა და განათლების მკვლევარმა – **მუხრან გულიაშვილმა**.

გასვლითი სამუშაო შეხვედრის ბოლო დღეს გაიმართა შეხვედრა ახალი პოლიტიკური ცენტრის წარმომადგენელ – **ზურაბ ჯაფარიძესთან**. ჯაფარიძემ ისაუბრა სტრატეგიის განხორციელების პრობლემებზე და დაბრკოლებებზე.

გასვლითი სამუშაო შეხვედრის ბოლო დღეს სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა გააკეთეს პრეზენტაცია საკუთარ კვლევით და ანალიტიკურ ნაშრომებზე დაყრდნობით. ნაშრომების წარდგენის შემდეგ, მონაწილეებს შორის გაიმართა დისკუსია ნაშრომებში განხილულ პრობლემატიკაზე, მათ მიერ გამოყენებულ კვლევის მეთოდებსა და დიზაინზე. ასევე, მონაწილეებმა იმსჯელეს პრობლემების გადაჭრის გზებზე და მათ მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებზე.

საერთაშორისო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

პროექტ „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“-ს დასკვნითი ღონისძიება 2016 წლის 1 და 2 თებერვალს სასტუმრო Courtyard Marriott Tbilisi-ში გაიმართა. დასკვნითი ღონისძიების სახით, IDFI-მ ორგანიზება გაუკეთა საერთაშორისო ფორუმს „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“.

ფორუმის მიზანი პოლიტიკოსების, დიპლომატების, აკადემიკოსების, ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეკრება და მათ შორის დიალოგისთვის საჯარო სივრცის შექმნა იყო. საერთაშორისო ფორუმი მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესის შეფასებას და ამ პროცესში არსებული გამოწვევების ანალიზს.

ფორუმი გახსენეს საქართველოს პრემიერ მინისტრმა - გიორგი კვირიკაშვილმა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორმა - გიორგი კლდიაშვილმა. გიორგი კლდიაშვილმა გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ფორუმის მიზნებზე და ისაუბრა მსგავსი ფორმატით ჩატარებული შეხვედრების მნიშვნელობაზე, სადაც მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები განიხილავენ საქართველოს განვითარების გამოწვევებსა და პერსპექტივებს. პრემიერ მინისტრმა ისაუბრა საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიღწევებზე. კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობის საქმიანობა არის ღია და გამჭვირვალე და ამ მხრივ, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავებისა და განხილვის პროცესში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, სამოქალაქო საზოგადოების და საექსპერტო წრის წარმომადგენლების ჩართვა მნიშვნელოვანია.

ფორუმის გახსნის ცერემონიაზე მოხსენებებით ასევე წარსდგნენ ევოკავშირის ელჩი საქართველოში - იანოშ ჰერმანი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში - ბეტინა კადენბახი. იანოშ ჰერმანმა ისაუბრა ეკონომიკური განვითარების როლზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში, აღნიშნა ამ მხრივ არსებული გამოწვევები და იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე რეფორმები

ხელს შეუწყობს საქართველოს კონკურენტუნარიანობასა და ქვეყნაში უკეთეს ბიზნეს გარემოს განვითარებას.გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში - ბეტინა კადენბახმა შეკრებილ საზოგადოებას პროექტი „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება“ გააცნო და ისაუბრა გერმანიის როლზე აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისათვის მიმართულ პროგრამებზე.

ფორუმის გახსნის ცერემონიის დასრულების შემდეგ გაიმართა პირველი საპანელო განხილვა „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები“. საპანელო განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა - მიხეილ ჯანელიძემ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა - დავით ბაქრაძემ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში - ბეტინა კადენბახმა, ევროპული პოლიტიკის სწავლებათა ცენტრის (CEPS) უფროსმა მკვლევარმა - მაიკლ ემერსონმა და საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის (GCSD) დირექტორმა და ნატოში საქართველოს ყოფილმა ელჩმა - ლევან დოლიძემ. საპანელო განხილვას, სადაც მომხსენებლებმა ისაუბრეს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესზე და ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე, გაუძღვა ექსპერტი უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში - მიხეილ დარჩიაშვილი. მომხსენებლების სიტყვით გამოსვლის შემდეგ, დისკუსია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში ფორუმზე მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ფორუმის პირველი დღის რიგით მეორე საპანელო განხილვა დაეთმო საქართველოსა და ევროკავშირის პარტნიორობის ძირითადი მიმართულებების განხილვას. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილებ - გიგი გიგიაძემ, ევროკომისიაში საგარეო ენერგეტიკის პოლიტიკის ოფიცერმა - ფედერიკო ტარანტინიმ და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს ევროინტეგრაციის მიმართულების მენეჯერმა - ვანო ჩხიკვაძემ. საპანელო განხილვას უძღვებოდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი - კახა გოგოლაშვილი. პანელის მონაწილეებმა და ფორუმის სტუმრებმა ისაუბრეს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის, ევროპის თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზა ლიბერალიზაციის პროცესში არსებულ გამოწვევებზე.

ფორუმის მეორე დღე დაეთმო საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესების განხილვას. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა შესაფასებლად საპანელო განხილვაში მოწვეულნი იყვნენ პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ხელმძღვანელი - ალექსი ალექსიშვილი, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი - იოხენ ციმერმანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი - იაროსლავა ბაბიჩი და CATO ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი - ანდრეი ილარიონოვი. განხილვას უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი - ვლადიმერ პაპავა. მომხსენებლებმა ისაუბრეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე და განიხილეს ამ მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები.

ფორუმის ბოლო საპანელო განხილვა დაეთმო საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებზე საუბარს. საპანელო განხილვაში მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში - ნილს სკოტი; მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (CIPDD) თავმჯდომარე - გია ნოდია; პოლიტოლოგი და ექსპერტი საქართველო-ამერიკის ურთიერთობების საკითხებში - ლინკოლნ მიტჩელი და საგარეო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის (FPRI) ასოცირებული მკვლევარი - მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე. საპანელო განხილვის მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე, დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელ საშინაო და საგარეო ფაქტორებზე და გამჭვირვალე, ღია და კარგი მმართველობის საკითხებზე. საპანელო განხილვას უძღვებოდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი.